სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/152

ქ. თბილისი

29 ივლისი 2025 წ.

2025/2026 სასწავლო წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისათვის მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი[1]“ ქვეპუნქტის, 52[1]-ე მუხლის მე-4[1] პუნქტის, „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა) შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, გუგული ყურაშვილის 2025 წლის 28 ივლისის №920407 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს 2025/2026 სასწავლო წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნექტენოლოგიების ფაკულტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობა:

ა) ბიზნესის ადმინისტრირება (ქართულენოვანი, 65 კრედიტი) – 10 ადგილი;

ბ) ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი, 65 კრედიტი) – 10 ადგილი;

გ) ფინანსური აღრიცხვა და აუდიტი ((ქართულენოვანი, 65 კრედიტი) – 10 ადგილი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**